Berufung

Sowohl im **deutschen** als auch im **georgischen Strafprozessrecht** ist die Berufung (§§ 312 bis 332 dStPO, Art. 292 bis 299 gStPO) ein Rechtsmittel, das der Überprüfung von erstinstanzlichen Urteilen dient. In **Deutschland** betrifft dies konkret die Urteile des Strafrichters und des Schöffengerichts am Amtsgericht (§ 312 dStPO), in **Georgien** die Urteile des Strafrichters (Art. 292 Abs. 1 gStPO). Wird das erstinstanzliche Urteil hingegen von einem Landgericht oder einem Oberlandesgericht (Deutschland) bzw. dem Geschworenengericht (Georgien, Art. 292 Abs. 4 gStPO) gesprochen ist nicht die Berufung, sondern lediglich die Revision statthaft.

In der Berufung wird der Sachverhalt in tatsächlicher und rechtlicher Hinsicht neu untersucht. Damit können sowohl neue Tatsachen als auch neue Beweismittel (§ 323 Abs. 3 dStPO, Art. 293 Abs. 2 gStPO) in die Berufungshauptverhandlung eingeführt werden. Die Überprüfung bezieht sich auf das gesamte Urteil, sofern die Berufung nicht, was zulässig ist, auf einzelne Punkte beschränkt wird (§ 318 dStPO, Art. 293 Abs. 4 gStPO).

Rechtsmittelberechtigt sind sowohl der Beschuldigte, bzw. dessen Verteidiger oder gesetzlicher Vertreter, als auch die Staatsanwaltschaft (§ 296 Abs. 1 dStPO, Art. 292 Abs. 2 gStPO). Zudem können im **deutschen Strafprozess** unter Vorliegen der entsprechenden Voraussetzungen auch der Verletzte, als Privatkläger (§ 390 dStPO) oder Nebenkläger (§ 400 dStPO) Berufung einlegen, während der Verletzte nach **georgischem Recht** nicht rechtsmittelberechtigt ist.

Die Einlegung der Berufung muss in **Deutschland** binnen einer Woche (§ 314 Abs. 1 dStPO), in **Georgien** binnen eines Monats (Art. 293 Abs. 1 gStPO) nach Verkündung des Urteils erfolgen. Die Einlegung der Berufung führt in **beiden Ländern** zur Zuständigkeit der nächsthöheren Instanz (Devolutiveffekt). Damit ist in **Deutschland** die kleine Strafkammer am Landgericht, in **Georgien** das Appellationsgericht als Berufungsgericht zuständig. Die Hemmung der Rechtskraft des angefochtenen Urteils (Suspensiveffekt) tritt hingegen nur im **deutschen** (§ 316 Abs. 1 dStPO), nicht aber im **georgischen Strafprozess** (Art. 293 Abs. 3 gStPO) ein.

Für die Begründung steht dem Beschwerdeführer im **deutschen Strafprozess** eine weitere Woche nach Ablauf der Einlegungsfrist zur Verfügung (§ 317 dStPO). Im **georgischen Strafprozess** wird nicht zwischen Einlegungs- und Begründungsfrist unterschieden, sodass sich die Frist auch im Hinblick auf die Begründung gemäß Art. 293 Abs. 1 gStPO auf einen Monat beläuft (siehe bereits oben) und damit doppelt so lang ist wie in **Deutschland**.

Die Berufung wird angenommen, wenn sie nicht offensichtlich unbegründet ist (Deutschland, § 313 Abs. 2 S. 1 dStGB) bzw. an formalen Fehlern leidet (Georgien, Art. 295 Abs. 4 gStPO), andernfalls wird sie als unzulässig verworfen (§ 313 Abs. 2 S. 2 dStGB; Art. 295 Abs. 3 gStPO). Eine Besonderheit stellt im **deutschen Strafprozess** jedoch die Annahmeberufung dar. Bei den in § 313 Abs. 1 dStPO aufgelisteten Fällen (geringe Geldstrafe, Bußgeld oder Verwarnung mit Strafvorbehalt im erstinstanzlichen Urteil)

muss das Berufungsgericht die Berufung per Beschluss annehmen, wenn diese nicht offensichtlich unbegründet ist, oder sie andernfalls als unzulässig verwerfen (§ 313 Abs. 2 dStPO). In **Georgien** existiert eine solche Form der Berufung nicht. Indes unterliegt das Berufungsgericht hier einer Frist von zehn Tagen ab dem Eingang des Berufungsantrags, um über die Zulässigkeit zu entscheiden (Art. 295 Abs. 2 gStPO), während das **deutsche Strafprozessrecht** eine solche Entscheidungsfrist nicht kennt.

Als Ergebnis der Berufungshauptverhandlung hat das Berufungsgericht das angefochtene Urteil ganz oder teilweise aufzuheben und selbst ein neues Urteil zu sprechen (§ 328 Abs. 1 dStPO, Art. 298 Abs. 1 lit. a) bis c) gStPO). Andernfalls ist die Berufung als unbegründet zu verwerfen (in der dStPO nicht ausdrücklich normiert, Art. 298 Abs. 1 lit. d) gStPO). In **Georgien** unterliegt das Berufungsgericht zudem einer Frist von zwei Monaten ab der Feststellung der Zulässigkeit der Berufung, um das Berufungsurteil zu fällen (Art. 295 Abs. 6 gStPO). Für das Berufungsurteil gilt dabei sowohl nach **deutschem** als auch nach **georgischem Recht** das Verschlechterungsverbot, sofern das Rechtsmittel eingelegt wird, um ein günstigeres Ergebnis für den Beschuldigten zu erreichen. Während das Verbot in **Deutschland** nur die Art und Höhe der Rechtsfolgen betrifft (§ 331 Abs. 1 dStPO), umfasst es in **Georgien** auch den Schuldspruch (Art. 298 Abs. 3 gStPO).

Ein der Berufung (ganz oder teilweise) stattgebendes Urteil des Berufungsgerichts gilt im **deutschen Strafprozess** nur für den Beschuldigten, der durch die Berufung betroffen ist, nicht aber für Mitbeschuldigte des erstinstanzlichen Verfahrens. Kommt es in **Georgien** zu einer Änderung des erstinstanzlichen Urteils zugunsten des Beschuldigten, wirkt sich dies hingegen auch auf die Mitbeschuldigten des erstinstanzlichen Verfahrens aus, die selbst keine Berufung eingelegt haben. In diesem Fall hat das Berufungsgericht das angefochtene Urteil auch für diese zu prüfen (Art. 299 gStPO). (Mpi/Gtu)

აპელაცია

როგორც **გერმანულ**, ისე **ქართულ სისხლის საპროცესო სამართალში** აპელაცია (გსსსკ-ის 312-332-ე პარაგრაფები, ქსსსკ-ის 292-299-ე მუხლები) არის საჩივარი, რომელიც ემსახურება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გადახედვას. **გერმანიაში** აღნიშნული კონკრეტულად ეხება საუბნო სასამართლოს სისხლის სამართლის მოსამართლისა და შეფენების სასამართლოს განაჩენებს (გსსსკ-ის 312-ე პარაგრაფი), ხოლო **საქართველოში** პირველი ინსტანციის მოსამართლის განაჩენებს (ქსსსკ-ის 292-ე მუხლის 1-ელი ნაწილი). განსხვავებით ამისგან, თუკი პირველი ინსტანციით გადაწყვეტილება მიიღო მიწის სასამართლომ ან მიწის უმაღლესმა სასამართლომ (გერმანია), მოცემულ შემთახვევაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ (საქართველო, ქსსსკ-ის 292-ე მუხლის მე-4 ნაწილი), მათზე დაიშვება არა აპელაცია, არამედ მხოლოდ კასაცია.

სააპელაციო წარმოებისას განიხილება საქმე, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალთახედვით. შესაბამისად, სააპელაციო სხდომაზე შესაძლებელია ახალ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად ახალი მტკიცებულებები იქნეს წარმოდგენილი (გსსსკ-ის 323-ე

პარაგრაფის მე-3 ნაწილი, ქსსსკ-ის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილი). განაჩენი გადაიხედება მთლიანობაში, თუკი სააპელაციო საჩივარი არ შემოიფარგლება განაჩენის ცალკეული ნაწილების გასაჩივრებით, რაც ასევე ნებადართულია (გსსსკ-ის 318-ე პარაგრაფი, ქსსსკ-ის 293-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

აპელანტები არიან, როგორც მსჯავრდებული, მისი ადვოკატი ან კანონიერი წარმომადგენელი, ისე პროკურატურა (გსსსკ-ის 296-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი, ქსსსკ-ის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამის გარდა, **გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში** სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს აგრეთვე დაზარალებულს, როგორც კერძო მბრალმდებელს (გსსსკ-ის 390-ე მუხლი), ან სუბსიდიურ ბრალმდებელს (გსსსკ-ის მე-400 პარაგრაფი), მაშინ როცა **ქართული სამართლის** მიხედვით, დაზარალებულს არ გააჩნია განაჩენის გასაჩივრების უფლებამოსილება.

სააპელაციო საჩივარი განაჩენის გამოცხადებიდან შეიტანილ უნდა იქნეს **გერმანიაში** ერთი კვირის ვადაში (გსსსკ-ის 314-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი), ხოლო **საქართველოში** ერთი თვის ვადაში (ქსსსკ-ის 293-ე მუხლის 1-ელი ნაწილი). სააპელაციო საჩივარის შეტანა **ორივე ქვეყანაში** იწვევს საქმის ზემდგომი ინსტანციისთვის დაქვემდებარებას (დევოლუციური ეფექტი). ამისათვის უფლებამოსილ სააპელაციო სასამართლოს **გერმანიაში** წარმოადგენს მიწის სასამართლოს სისხლის სამართლის მცირე პალატა, ხოლო **საქართველოში** სააპელაციო სასამართლო. გასაჩივრებული განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის და აღსრულების შეჩერებას (სუსპენზიური ეფექტი) ადგილი აქვს მხოლოდ **გერმანულ** (გსსსკ-ის 316-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი) და არა **ქართულ სისხლის სამართლის პროცესში** (ქსსსკ-ის 293-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

დასაბუთებისთვის **გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში** აპელანტს აქვს კიდევ ერთი დამატებითი კვირა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გასვლიდან (გსსსკ-ის 317-ე პარაგრაფი). **ქართული სისხლის სამართლის პროცესი** არ განასხვავებს ერთმანეთისგან სააპელაციო საჩივრის შეტანისა და მისი დასაბუთების ვადებს, შესაბამისად, ვადა ასევე დასაბუთებასთან მიმართებით ქსსსკ-ის 293-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, გრძელდება ერთი თვე (იხილეთ ზემოთ) და ამიტომ იგი ორჯერ უფრო ხანგრძლივია ვიდრე **გერმანიაში**.

სააპელაციო საჩივარი დაიშვება, თუკი იგი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი (გერმანია, გსსსკ-ის 313-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადება), მოცემულ შემთხვევაში არ ახასიათებს მას ფორმაულური ხარვეზები (საქართველო, ქსსსკ-ის 295-ე მუხლის მე-4 ნაწილი), სხვაგვარად იგი იქნება დაუშვებლად ცნობილი (გსსსკ-ის 313-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება; ქსსსკ-ის 295-ე მუხლის მე-3 ნაწილი). **გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში** სპეციფიურობას წარმოადგენს „დასაშვები აპელაცია“. გსსსკ-ის 313-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში (პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული მცირე ოდენობის ჯარიმა, ფულადი სახდელი, ან პირობითი მსჯავრი) სააპელაციო სასამართლომ განჩინებით სააპელაციო საჩივარი უნდა

ცნოს დასაშვებად, როდესაც იგი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი, ან წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ცნოს დაუშვებლად (გსსსკ-ის 313-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი). **საქართველოში** აპელაციის მსგავსი ფორმა არ არსებობს. აქ სააპელაციო სასამართლოს საჩივრისა და საქმის მიღებიდან დადგენილი აქვს ათდღიანი ვადა მისი დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად (ქსსსკ-ის 295-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მაშინ, როდესაც **გერმანული სისხლის საპროცესო სამართალი** გადაწყვეტილების მიღების მსგავს ვადას არ იცნობს.

სააპელაციო სხდომის შედეგად სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განაჩენს აუქმებს მთლიანად ან ნაწილობრივ და თავად იღებს ახალ გადაწყვეტილებას (გსსსკ-ის 328-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი, ქსსსკ-ის 298-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტები). სხვა შემთხვევაში უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე (გსსსკ-ში არ არის ცალსახად განსაზღვრული, ქსსსკ-ის 298-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). **საქართველოში** სააპელაციო სასამათლოს განაჩენის მისაღებად დადგენილი აქვს ორთვიანი ვადა სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან (ქსსსკ-ის 295-ე მუხლის მე-6 ნაწილი). სააპელაციო სასამართლოს განაჩენისთვის როგორც **გერმანული**, ისე **ქართული სამართლის** მიხედვით მოქმედებს საუარესოდ შებრუნების აკრძალვა, როდესაც სააპელაციო საჩივარი შეტანილია მსჯავრდებულის სასიკეთო შედეგის მისაღწევად. თუკი აღნიშნული აკრძალვა **გერმანიაში** ეხება მხოლოდ სასჯელის სახესა და ზომას (გსსსკ-ის 331-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი), იგი **საქართველოში** მოიაცავს ასევე მსჯავრდების ნაწილსაც (ქსსსკ-ის 298-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებული საჩივრის საფუძველზე მიღებული განაჩენი **გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში** ეხება მხოლოდ აპელანტ მსჯავრდებულს და არა პირველ ინსტანციაში მონაწილე არააპელანტ თანამსჯავრდებულებს. **საქართველოში** როდესაც პირველი ინსტანციის განაჩენი იცვლება აპელანტი მსჯავრდებულის სასარგებლოდ, აღნიშნული გავლენას ახდენს აგრეთვე ამ საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ სხვა პირებზეც, რომელთაც სააპელაციო საჩივარი არ შეუტანიათ. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს ამ პირთა მიმართაც (ქსსსკ-ის 299-ე მუხლი). (Mpi/Gtu)